პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 თებერვალი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 42 (15255)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედს — დამკვრელური შრომა!

მემანქანე გ. ბოგვერაძის ინიციატივა მოინონეს

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს დადგენილება „სახალხო-სამეურნეო ტვირთის დანიშნულებისამებრ მიტანის შემზღვევი დაჩქარებისა და ტვირთზიდვის ღირებულების შემცირებისათვის თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის გ. ბოგვერაძის ინიციატივის შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მაგისტრალის წამყვანი საწარმოს — სალოკომოტივო დეპოს მშრომელები, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების გამოწვეული საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმისა და შემოქმედებითი შთაგონების ვითარებაში ეკებებიან ღირსშესანიშნავ თარიღს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეკხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით ჩაბარა აღრესატებს 950 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამავე დროს დაზოგა 5 მილიონამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში საწარმოს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სულითა და გულით სურთ იმუშაონ კიდევ უფრო ნაყოფიერად, რათა ახალი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში .

მაგალითად, დეპოს მემანქანემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ბოგვერაძემ გადაწყვიტა მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა შეასრულოს 1 დეკემბრისათვის, პირადი ხუთწლედი კი — ოთხ წელიწადნახევარში, დაზოგოს 160 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 30 პროცენტი საპოხი მასალები. გ. ბოგვერაძემ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში გამოწვია სამტრედიის, კიევისა და ერევნის სალოკომოტივო დეპოების საუკეთესო მემანქანეები.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა შესთავაზეს დეპოების, სადგურების, დისტანციების პროფკავშირულ კომიტეტებსა და ხელმძღვანელებს მხარი დაუჭირონ და გამოიყენონ თბილისელი მემანქანის მუშაობის გამოცდილება მოძრავი შემადგენლობის გამოყენების გასაუმჯობესებლად. (საქდისი).

ეს დღეები სოფლად

ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდი საზრუნავი აქვთ. გაზაფხული კარზეა მომდგარი, და თესვის წარმატებას მხოლოდ თავდადებული, გონივრული შრომა გადაწყვეტს. ამას კარგად ითვალისწინებენ მხვნელ-მთესველები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს მთელი ტექნიკის რემონტი, მაღალი ხარისხის თესლის მომზადება.

საჭიროა ამთავითვე გავითვალისწინოთ ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის მძიმე შედეგები და თვითეული ხელსაყრელი დღე, საათი მაქსიმალურად გამოვიყენოთ თესვისათვის მზადებაში. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა.

მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხული გიხმობთ, სოფლის მშრომელებო!



სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

17 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების თათბირი.

თათბირზე განიხილეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მომზადებისა და მოწყობის, აგრეთვე მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხები.

ამ საკითხებზე თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ა. პ. პირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. ჟულაკოვი, დ. ს. კუნაევი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, პ. ე. შელეშტი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, აგრეთვე მთელ რიგ ცენტრალურ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

მეცნიერება — წარმოებას

დიდია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამოცანები. ეს ამოცანებია: ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა და უფრო სწრაფად დავნერგოთ მისი შედეგები სახალხო მეურნეობაში.

თვალსაჩინოა ქართველ მეცნიერთა წვლილი, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესში, სახალხო მეურნეობის შემდგომ წინსვლაში. ხუთწლედის პირველი წელი ახალი წარმატებებით აღინიშნა ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითის მუშაობაში. ამჟამად ფართოდ ვითარდება უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიმართულებები. ისეთ ტრადიციულ მეცნიერებებთან ერთად, როგორიც არის ისტორია, ფილოსოფია, მათემატიკა, ფიზიკა, გეოლოგია, ფიზიოლოგია, ამ ბოლო დროს წარმოიშვა და წარმატებით ვითარდება გამოთვლითი მათემატიკა, კიბერნეტიკა, მეცნიერება სიხტემატური მართვის შესახებ, მათემატიკური ეკონომიკა, ბიოფიზიკა და ბიოქიმია. ქიმიურ და ტექნიკურ მეცნიერებებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამასთან ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველვყოთ მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდება. ამის საწინდარი კი წარმოებასა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა სწრაფად დანერგვაა, წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფაა.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე, რომელმაც განიხილა და მიიღო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა, აღინიშნა ჩვენი მეცნიერების წვლილი კოშუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის გადაწყვეტაში და მკაფიოდ ჩამოყალიბდა ის უახლოესი ამოცანები, რომლებიც უნდა შესრულდეს. ეს არის, კერძოდ, როგორც ფუნდამენტური, თეორიული, ისე გამოყენებითი მეცნიერული კვლევის უფრო სწრაფად გაშლა.

ახალი ხუთწლიანი გეგმით ფართო ღონისძიებებია დასახული პრაქტიკაში ახალი უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების, ახალი ტიპის მანქანების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და სხვა მეცნიერულ და ტექნიკურ საახლოთა დანერგვისათვის. გაგრძელდება და გაფართოვდება მეცნიერული მუშაობა გამოყენებითი მათემატიკის, ბირთვული ფიზიკის, კოსმოსური სხივების კვლევის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიის, მეცნიერების და ტექნიკის მთელ რიგ პროგრესულ დარგებში.

სულ ახლახან ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ინიციატივის შესახებ წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გასაფართოებლად თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტებისა და რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივებმა გამოიჩინეს მნიშვნელოვანი ინიციატივა **კიდევ უფრო განამტკიცონ თანამეგობრობა ქიმიური კომბინატის ხელახალი ტექნიკური აღჭურვის პრობლემების კომპლექსური კვლევისა და გადაჭრის მიზნით.**

ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში წინადადება მისცა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ფართოდ გაავრცელონ ინიციატივა.

საერთო-სახალხო კუთვნილებად ხდება არა ერთი შესანიშნავი წამოწყება და ინიციატივა. ახეთია, მაგალითად, **თბილისის იმ დიდი საწარმოების ინიციატივა, რომლებიც შეფობენ პატარა საწარმოებს ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში.** ახლა ფართო გავრცელებას პოულობს აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა იმ კომპლექსური ბრიგადის მუშაობის გამოცდილება, რომელსაც ი. ხაზარაძე მეთაურობს.

ახლა მთავარია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ქმედითად შეუწყონ ხელი ყოველივე მოწინავის, პროგრესულის, ძვირფასი ინიციატივის **გავრცელებას, დანერგვას, მათს მასობრივობას.** საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეებმა საწარმოთა მუშაკებთან ერთად **ერთ** თანამეგობრობით უნდა გაამდიდრონ ქვეყანა მრავალი აღმოჩენით, გამოგონებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტექნიკის პერსპექტიული დარგების განვითარებას, ტექნიკური პროცესების სრულყოფას.

სკკპ XXIV ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციას თავის მოწოდებად მიაჩნია ის, რომ შეიმოქმედებითი ენერგია მოახმაროს ხალხის საქმეს, კომუნისტური საზოგადოების აუშენების საქმეს".

ეს ნათლად დაამტკიცა ცხოვრებამ. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის ზრდის ტემპი უკანასკნელ წლებში აღემატება ყველა სხვა სოციალური ჯგუფის ზრდის ტემპს, რაც შედეგია პარტიის პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარებას, ხალხის კულტურისა და განათლების კიდევ უფრო ამაღლებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას, საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პროცესების კომპლექსური კვლევის აუცილებლობაზე სოციალისტური მეურნეობისადმი მეცნიერული ხელმძღვანელობისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტისათვის. პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას, ხოლო ამ მეცნიერებათა სწავლება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, ჩვენი კადრების იდეური წრთობის საერთო პროცესის განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია. პარტიის XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც ვამაღლებდეთ თეორიული მუშაობის დონეს, ვცდილობდეთ მივაღწიოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მჭიდრო კავშირს პარტიულ და სახელმწიფო პრაქტიკასთან, მათი როლის ამაღლებას კომუნისტურ მშენებლობაში.

ეხმაურებიან შესანიშნავ თაოსნობას

დროულად ავამოქმედოთ ახალი სიმძლავრენი

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქკვებრემმშენის" კოლექტივის ვალდებულებანი

დროულად ავამოქმედოთ ახალი სიმძლავრენი — ამ შეჯიბრებაში, რომელიც ახლახან ლენინგრადის, ნოვგოროდის, დონეცკისა და ვიტებსკის ოლქების საშენებლო ორგანიზაციებმა სსრ კავშირის ინიციატივით გაიმართა და რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიწონა, ენთუზიაზმით ჩაებნენ საქართველოს ფუფუაქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლები, ნაპირნრა. გაზრდილი ვალდებულებანი.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება და გაფართოვდება საქართველოს კვების ინდუსტრიის საწარმოო ბაზა, აიგება ახალი ობიექტები, განხორციელდება ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, არსებულ სიმძლავრეთა რეკონსტრუქცია. საქართველოს კვების მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლობის საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ტრესტ „საქკვებრემმშენის" კოლექტივმა, რომელიც ენთუზიაზმით ჩაება ახალ შეჯიბრებაში.

ტრესტის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა **მიმდინარე წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის, საექსპლოატაციოდ გადასცეს შემდეგი ობიექტები:** თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის საწყობი (600 ტონა თამბაქოს ტევადობით) — 7 ნოემბრისათვის; თბილისის № 3 ღვინის ქარხნის ლუდის ბარი — 1 მაისისათვის, ქართული პურის საცხობი მექანიკური თონე თბილისში — 25 სექტემბრისათვის; სურამის, ჩხარის, ალგეთის ღვინის ქარხნების ხაწეხე განყოფილებები — 1 აპრილისათვის; სამტრედიის ჩაის ფაბრიკის მზა პროდუქციის საწყობები — 5 დეკემბრისათვის; დაამთავროს ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქცია — 25 დეკემბრისათვის; შრომის ნაყოფიერების გადიდებითა და მექანიზაციის დანერგვით 1 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება; ობიექტები ჩააბაროს და საექსპლოატაციოდ გადასცეს მხოლოდ „ალრე" შეფასებით.

ვალდებულებები განხილული და მიღებულია ტრესტის კოლექტივის აქტივის კრებაზე.

კოლექტივის დავალებით: ა. ცაკვიტინიძე — ტრესტის მმართველი, ბ. ბურჭულაძე — პარტიბიუროს მდივანი, ი. ობერშმიდლერი — პროფკავშირის აღგილკომის თავმჯდომარე.

ჰიდრომშენებელთა სიტყვა და საქმე

მოსკოველთა თაოსნობას ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ და იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულება, — ხუთწლედის დავალება ოთხწელიწადნახევარში.

ჰიდრომშენებლებმა მაღალ ტემპით დაიწყეს ხუთწლედის მეორე წელი. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, ენგურჰესელებმა წარმატებას მიაღწიეს — შეასრულეს 2 მილიონ 332 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ნაცვლად 2 მილიონ 230 ათასისა.

იანვარი მაღალ მაჩვენებლებით დაამთავრეს კაშხალმშენის (უფროსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ებრაელიძე), ვეირაბმშენის (უფროსი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. წულეისკირი), ძალოვანი კვანძის (უფროსი ა. ცნობილაძე), ვარდნილჰესების (უფროსი ო. ჭინჭარაული), მექანიზებულ სამუშაოთა (უფროსი ა. დიაკოვი) სამმართველოების კოლექტივებმა.

ენგურჰესელები თებერვალშიც მაღალი ტემპით შრომობენ. ნაზავი თვეში შესრულებულია 1 მილიონ 300 ათას მანეთისაზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ხუთწლედის მეორე წელს ენგურზე სულ უნდა შესრულდეს 42 მილიონ 150 ათასი მანეთის სამუშაო, აქედან პირველ კვარტალში 9 მილიონ 984 ათასი მანეთისა.

როგორც ყოველთვის, ახლაც დამკვრელურად შრომობენ ვეტერანი ჰიდრომშენებლები, სოციალისტური შრომის გმირი ო. ბლიაძე, ვ. ნემსიწვერიძე, ბ. ფოფხაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ამაკეკია, ო. ემხვარი, ბ. ნიტაძე, ი. მაკარჩუკი.

ლ. ბარქაია.

მაღალხარისხოვანი თესლი უხვი მოსავლის მიღების საწინდარია. ამიტომ ამ დღეებში გაჩაღებულია ხორბლის, ქერის, სიმინდის და სხვა სახის თესლეულის მომზადება, მიმდინარეობს ხვნა. **სურათებზე:** ზემოთ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თესლის ინსპექციის უფროსი აგრონომი-მეთოდისტი ლალი ჩიქოვანი არკვევს თესლის ხარისხიანობას; ქვემოთ — სიმინდის დასათესი ნიადაგის ხვნა გალის რაიონის სოფელ მუხურის კოლმეურნეობაში.

(საქდისის ფოტოკორონიკა).

ზამთარში გაზაფხულისათვის

მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას, სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელსაც ეს წერტილი დნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსები და მთავარი სპეციალისტები. თათბირზე განიხილეს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებისა და პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის საკითხები.

თათბირზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე დ. ნიკურაძე და მინისტრის მოადგილეები მ. დოლაბერიძე, ი. ეკადამეილი და ვ. სანიკიძე. მოხსენებათა ირგვლივ სიტყვები გამოვიდნენ თელავის, გორის, წალენჯიხის, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, გურჯაანის რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსები ი. მესტვირიშვილი, ა. ქუჩუკაშვილი, ი. ხუციურაული, ვ. გარსლიანი, ბ. კაკალაშვილი, ლ. ოღლიშვილი და „საქსოფლტექნიკის" განყოფილების მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ბერუაშვილი.

მომხსენებლებმა და სიტყვებით გამოსულებმა ყურადღება გაამახვილეს ყინვისაგან დაზარალებული მრავალწლიანი ნარგავებისა და შემოდგომის ნათესების მოვლა-პატრონობის აგროღონისძიებებზე, საგაზაფხულო საშუშაოებისათვის მზადებაზე, პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობაზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. რევეულიაშვილმა.

ნაყოფიერად ემზადებიან

ახალქალაქის რაიონის სოფელ არაკვის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. აქ დროულად შეუდგნენ საგაზაფხულო კულტურების სათესლე მასალის გაწმენდას. უკვე სათეს კონდიციამდე აყვანილია 52 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბლის, 484 ცენტნერი ქერის, 30 ცენტნერი შვრის, 40 ცენტნერი ცერცველას და 100 ცენტნერი ესპარცეტის თესლი.

ბ. მაისურაძე.

სტარტზე — ტრაქტორები

ქობულეთი. (სპეც. კორ.). „საქსოფლტექნიკის" ქობულეთის განყოფილების სარემონტო სახელოსნომ გასული წლის მეოთხე კვარტალში და მომდინარე წლის იანვარ-თებერვალში ბევრი რამ გააკეთა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტრაქტორების მოსამზადებლად.

ორმოცდაათზე მეტი ტრაქტორი შეაკეთეს, ლელვას, წყავროკის, ალამბრისა და სხვა კოლმეურნეობათა ტრაქტორები უკვე გამოჩნდნენ რაიონის მინდვრებსა და პლანტაციებში. გარდა ამისა, სარემონტო სახელოსნო კოლმეურნეობებს ადგილზე ეხმარება ტექნიკის მოსამზადებლად.

ახლახან „საქსოფლტექნიკის" ქობულეთის განყოფილებამ მიიღო „ბელარუსის" მარკის 8 ახალი ტრაქტორი.

ჯილდო გადაეცა დ. ა. კუნაევს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 18 თებერვალს კრემლში ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ჩაქუჩი" გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. ა. კუნაევს, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ნ. ვ. პოდგორნიმ გულთბილად და გულითადად მიულოცა დ. ა. კუნაევს მაღალი ჯილდო.

დ. ა. კუნაევმა მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ კვლავაც მთელ ძალღონეს მოახმარს კომუნისტური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხს.

(საქდისი).

ამიერკავკასიის მეომართა კომკავშირული კონფერენცია

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პიონერული შემადგენლობის უმრავლესობას შეადგენენ ახალგაზრდა მეომრები, კომკავშირელები, რომლებიც სამსახურს ეწევიან სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დასაცავად. მათ თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები დელეგატებად გაგზავნეს კომკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც 17 თებერვალს გაიმართა თბილისში.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. შელეპინმა კონფერენციაზე გაეცნო მოხსენება „ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა სკკპ XXIV კონგრესის სამხედრო ოლქის პიონერული ორგანიზაციის ამოცანებისა და ამოცანებზე. ნაზავი ოლქის ბრიგადა ... ...

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲘᲡᲮᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲗᲐ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲐᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲛᲐᲕᲗᲝᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲕᲐᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲠᲘᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲒᲐᲐᲜᲘᲚᲘ, ᲘᲒᲘ ᲒᲐᲓᲛᲘᲜᲣᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲑᲔᲯᲣᲙᲣᲚᲘᲡᲛᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ. ᲘᲥ, ᲡᲐᲡᲐᲒᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲣᲜᲐᲚᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲘᲡᲮᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲐᲦᲒᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲝᲑᲐᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲗ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲛᲘ ᲛᲘᲛᲘᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘ

საერთაშორისო
ინფორმაციის
ერთიანი
ბიულეტენი

ამერიკელ კომუნისტთა ყრილობა

ნიუ-იორკი. დღეს ნიუ-იორკში მუშაობას იწყებს შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის — ამერიკის მშრომელთა რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის მორიგი, XX ეროვნული ყრილობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკელ კომუნისტთა მრავალათასიანი რაზმის 200-ზე მეტი წარმომადგენელი. ყრილობა 4 დღეს გაგრძელდება. მის დღის წესრიგში შეტანილია კომპარტიის განრიგითი მდგომარეობის ანგარიში, კომპარტიის ეროვნული თავმჯდომარის ჰენრი უინსტონისა და კომპარტიის ორგანიზაციულ საკითხთა მდივნის დანიელ რუბინის მოხსენებანი.

ყრილობის სხდომებზე დისკუსიის საფუძველი გახდება კომპარტიის ეროვნული კომიტეტის მიერ მომზადებული „ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XX ეროვნული ყრილობის თეზისები“, რომლებიც ყრილობისწინა პერიოდში ფართოდ განიხილეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ყრილობის დელეგატები განიხილავენ საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, დასახავენ ამერიკის მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლის განგრძობისა და აქტივიზაციის გზებს, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება როგორც ამერიკის, ისეც საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში.

ხელისუფალთა თვითნებობა

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას შეერთებულ შტატებში ჩამოსვლის ნებართვაზე ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XX ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად.

სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩამოსვლის ვიზებზე უარი უთხრა აგრეთვე მთელი რიგი სხვა კომუნისტური პარტიების დელეგაციებს, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ ყრილობას.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკელ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ჰავანა ბრძოლები ინდოჩინეთში

ახლანდელი მშრალი სეზონის პირველი სამი თვის განმავლობაში ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა დიდ საბრძოლო წარმატებებს მიაღწიეს სიენკუანგის პროვინციაში.

ქაოსან პატეტ ლაოს სააგენტოს მონაცემებით, ნოემბრიდან თებერვლამდე ლაოსელმა პატრიოტებმა ამ რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 5.300 ჯარისკაცი, მათ შორის 2.500 ტაილანდელი დაქირავებული. ბრძოლების დროს ჩამოგდეს მტრის 38 თვითმფრინავი და ვერტმფრენავი, მოსპეს 35 სამხედრო მანქანა და 2,5 ათას ერთეულზე მეტი სხვადასხვა იარაღი, მათ შორის მძიმე ქვემეხები და ნაღმსატყორცნები.

გენერალ ვანგ პაოს „სპეციალურ ძალებს“ პატრიოტებმა დაანგრიეს ტოვებინეს ხუთი ჯამაგრებული პუნქტი.

სამხრეთ ლაოსში ლაოსის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა იანვრის უკანასკნელი 11 დღის მანძილზე მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 57 ჯარისკაცი და ოფიცერი. პაქსის აღმოსავლეთით გამართული ბრძოლების შედეგად მემარჯვენე ძალების ჯარებმა უკან დაიხიეს და დატოვეს ორი გამაგრებული პუნქტი.

ქხმერის პატრიოტები მოწინააღმდეგეს უტევენენ კამბოჯის დედაქალაქის მისადგომებთან. როგორც დღეს ასოშიეიტედ პრესის საგენტოს პნომპენელი კორესპონდენტი იუწყება, არტილერიის ცეცხლი დაუშინეს პნომპენის ჯარების პოზიციებს მეკონგის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ბონი გუნდესტაგის განსახილველად

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ დღეს ბუნდესტაგს გაუგზავნა პროექტი კანონისა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, აგრეთვე პროექტი კანონისა პოლონეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წლის 7 დეკემბერს ვარშავაში დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

კანონპროექტებს თან ერთვის განცხადება, რომელშიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის მოწესრიგებას.

ბუნდესტაგი პირველი წაკითხვით განიხილავს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ კანონპროექტებს 23 და 24 თებერვალს გამართულ სხდომებზე.

ლტოლვილები ბრუნდებიან

დელი. უკვე 8.508 ათასზე მეტი ლტოლვილი დაბრუნდა სამშობლოში — ბანგლადეშში, განაცხადა დღეს კალკუტაში ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელმა.

ინდოეთის ტერიტორიაზე, აღნიშნა მან, დარჩა 1 მილიონ 300 ათასი კაცი, რომლებმაც აქ თავი შეაფარეს დასავლეთ პაკისტანის არმიის რეპრესიებს.

ლონდონი ბრძოლა ინდოჩინეთში

ახლანდელი მშრალი სეზონის პირველი სამი თვის განმავლობაში ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა დიდ საბრძოლო წარმატებებს მიაღწიეს სიენკუანგის პროვინციაში.

ქაოსან პატეტ ლაოს სააგენტოს მონაცემებით, ნოემბრიდან თებერვლამდე ლაოსელმა პატრიოტებმა ამ რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 5.300 ჯარისკაცი, მათ შორის 2.500 ტაილანდელი დაქირავებული. ბრძოლების დროს ჩამოგდეს მტრის 38 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, მოსპეს 35 სამხედრო მანქანა და 2,5 ათას ერთეულზე მეტი სხვადასხვა იარაღი, მათ შორის მძიმე ქვემეხები და ნაღმსატყორცნები.

გენერალ ვანგ პაოს „სპეციალურ ძალებს“ პატრიოტებმა დაანგრიეს ტოვებინეს ხუთი ჯამაგრებული პუნქტი.

სამხრეთ ლაოსში ლაოსის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა იანვრის უკანასკნელი 11 დღის მანძილზე მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 57 ჯარისკაცი და ოფიცერი. პაქსის აღმოსავლეთით გამართული ბრძოლების შედეგად მემარჯვენე ძალების ჯარებმა უკან დაიხიეს და დატოვეს ორი გამაგრებული პუნქტი.

ქხმერის პატრიოტები მოწინააღმდეგეს უტევენენ კამბოჯის დედაქალაქის მისადგომებთან. როგორც დღეს ასოშიეიტედ პრესის საგენტოს პნომპენელი კორესპონდენტი იუწყება, არტილერიის ცეცხლი დაუშინეს პნომპენის ჯარების პოზიციებს მეკონგის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ლონდონი „ორერა“ კუბაში

ჰავანა. კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის შენობაში გაიმართა ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორერას“ გამოსვლა, რომელიც საგასტროლო მოგზაურობას აწყობს ამ ქვეყანაში.

საბჭოთა მსახიობების მოსასმენად მოვიდნენ კუბის ხაზოგადოებრივი მოღვაწეები, მეცნიერები, მსახიობები, დედაქალაქის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც აქ მუშაობენ. საპატიო სტუმართა შორის იყო კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე ანტონიო ნუნიეს ბიმენესი.

ამერიკელ ... ...

პედაგოგი და მეცნიერი

დრო გადის. წლებს წლები ემატება. ადგილ ჩვენს ძვირფას მეგობარს, ცნობილ ქართველ ისტორიკოსს — გრიგოლ ვასილაძე ბრეგაძეს უკვე სამოცი წელი შეუსრულდა. მაგრამ იგი არ უჩიოდის დაღლას, აღსავსეა შემოქმედებითი ძალით, თავისი მეგობრების და საქმის ჭაბუკური სიყვარულით.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი მთელი შეგნებული ცხოვრება, მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საბჭოთა სამშობლოსადმი თავადადებული სამსახურის ნიმუშია. 1929-1932 წლებში გ. ბრეგაძე ეუფლება ქვანახშირის მნგრეველის პროფესიას და როგორც დამკვრელ მუშას ოცი წლის ახალგაზრდას იღებენ კომუნისტური პარტიის რიგებში. 1932 წელს იგი წარმოებისაგან მოუწყვეტლად ფრიადზე ამთავრებს ტყიბულის სამთო სამრეწველო სასწავლებელს. 1933 წელს პარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტი მას გზავნის სასწავლებლად ამერიკაკავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, რომელსაც ფრიადზე ამთავრებს 1936 წელს.

პროფესორ გ. ბრეგაძის შემოქმედებითი გზა იწყება 1936 წლიდან, როცა იგი მუშაობას იწყებს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორად. 1941 წლის სექტემბრიდან 1946 წლის მაისამდე იგი იმყოფება მოქმედი საბჭოთა არმიის პოლიტგანყოფილების ლექტორად ყირიმის, კავკასიის, სტალინგრადის, III ბელორუსიისა და შორეული აღმოსავლეთის ფრონტებზე.

საბჭოთა არმის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, იგი ჯერ მუშაობს საქართველოს კპ (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგედ და ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის“ რედაქტორად. 1954-1967 წლებში მეცნიერულ საშუშაოზეა, კერძოდ 1967 წლის ოქტომბრიდან დღემდე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგეა.

თავისი მოღვაწეობის ყველა უბანზე პროფესორმა გ. ბრეგაძემ გვიჩვენა თავისი ნიჭი და უნარი. მისი ორგანიზატორული უნარი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

1958 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისეთ რთულ პრობლემაზე, როგორიც არის „ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება და განვითარება“.

თითქმის 30 წელზე მეტია, რაც იგი ეწევა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი შრომა, მათ შორის ექვსი მონოგრაფიული გამოკვლევა.

პროფესორ გ. ბრეგაძის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სკკპ ისტორიისა და თეორიის საკითხები. მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ნაჩვენებია ლენინის პარტიის შემოქმედებითი მოღვაწეობა, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. მან თავისი წვლილი შეიტანა ეროვნული საკითხის მეცნიერულ გამოკვლევაში. მის ნაშრომებში გაშუქებულია სოციალისტური ერების კანონზომიერებანი, საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილების განზოგადება და მოცემულია ეროვნულ საკითხში დაშვებული სუბიექტივისტური ხასიათის შეცდომების კრიტიკა.

ამასთან პროფესორი გ. ბრეგაძე ავტორია მთელი რიგი შრომებისა, რომლებშიც თავის მეცნიერულ გაშუქებას პოულობს საქართველოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ისტორია, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარების საკითხები.

პროფესორი გ. ბრეგაძე ყოველდღეებითა და მზრუნველობით ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ათეულ ახალგაზრდას გაუვლია ასპირანტურის კურსი და წარმატებით დაუცავს საკანდიდატო დისერტაცია.

თავის პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობას გ. ბრეგაძე კარგად უხამებს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არის საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ხელმძღვანელობს საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის სკკპ ისტორიის სექციას, სისტემატურად გამოდის სამეცნიერო და თეორიულ კონფერენციებზე მოხსენებებით ისტორიულ-პარტიულ პრობლემებზე.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა გ. ბრეგაძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებულია წოვილი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, რამდენიმე მედლითა და სპატიო სიგელით.

გ. ბრეგაძე შესანიშნავი ამხანაგი, კარგი და კეთილი ადამიანია. ამიტომ სასიამოვნოა მასზე ლაპარაკი და წერა.

გ. ჟვანია,
პროფესორი.

ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

მალე თბილისი უმასპინძლებს მეხუთე საკავშირო ფესტივალის მონაწილეებს, საბჭოთა კინემატოგრაფიტების ამ დიდ ფორუმზე, რომელიც 22 თებერვალს გაიხსნება, ნაჩვენები იქნება 21 მხატვრული ფილმი: კინოეპოპეა „განთავისუფლების“ მე-4 და მე-5 ფილმები „ბრძოლა ბერლინისათვის“ და „უკანასკნელი იერიში“, „12 სკამი“ („მოსფილმი“), „პირველი კლასის პილოტი“ („ლენფილმი“), „წუთიერი დუმილი“, „ოჰ, ეს ნასტია“ (მ. გორკის სახელობის სტუდია), „ზაქარია ბერკუტი“ (ა. დოვჟენკოს სახელობის სტუდია), „ლურჯი ცა“ (ოდესის კინოსტუდია), „თადარიგის ოფიცერი“ (მოლდავეთი), „მამილო“ (ბელორუსია), „პატარა აღსარება“ (ლიტვა), „ისიკ ყულის ყაყაჩოები“ (ყირგიზეთი), „ხათაბალა“ (სომხეთი), „რძალი“ (თურქმენეთი), „უკანასკნელი რელიკვია“ (ესტონეთი), „ყიზ-ყალაჯეკი“ (ყაზახეთი), „სიყვარულის დრამა“ (უზბეკეთი), „უკანასკნელი გადასასვლელი“ (აზერბაიჯანი), „რუსტამი და ზუხრაბი“ (ტაჯიკეთი), „მოძრავი ფრონტი“ (სვერდლოვსკის კინოსტუდია), „ფარავანის ცეკვა“ (რიგის კინოსტუდია), „წუთისოფელი“ (საქართველო).

ᲒᲐᲜᲘᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ
ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ ᲛᲝᲡᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ

თბილისელი მაყურებელი უკვე გაეცნო ამ კინოეპოპეის პირველ, მეორე და მესამე სერიებს. აჯერად საუალება გვექნება ენახოთ მისი მეოთხე და მეხუთე სერიები: „ბრძოლა ბერლინისათვის“ და „უკანასკნელი იერიში“.

გაფფრთებული შეტაკებები ბერლინის მისადგომებთან, მესამე რაიხის აღსასრული... ფილმის დამდგმელი რეჟისორია ი. ოზეროვი, რომელიც ო. კურგანოვასა და ი. მონდარეკთან ერთად სცენარის ერთ-ერთი ავტორიც არის. მთავარი ოპერატორია ი. სლობნეკინი, მხატვარი — ა. მიაგკოვი, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ი. ლევიტინს, სიმღერების ტექსტი — მ. ნოჟკინა. კინოსტუდია „მოსფილმის“ გარდა ფილმის შექმნაში მონაწილეობდნენ „დეფას“ (გდრ), იტალიისა და პოლონეთის კინოსტუდიები.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ



ფილმის მთავარი გმირია მოსწავლე არუნასი, რომელიც თავისი ასაკისა და ბუნებრივ ცნობისმოყვარეობის გამო ხვდება ფაშისტურ ლაგერში. ბავშვი ეხმარება ებრაელ ბავშვებს, ებრძვის ფაშისტებს, ეხმარება ებრაელ ბავშვებს, ეხმარება ებრაელ ბავშვებს, ეხმარება ებრაელ ბავშვებს. ... ...